

წელიწადი მისაგმ

წელიწადი მისაგმ



სამეურნეო უზრუნველყოფის

გონივრული



ნაკვეთი 14.

№ 12.

შინაარსი:

ვ. გულბათიშვილი	მეურნეობა უნდა იტყვას	3
ვ. მჭედლიშვილი	საქვეყნო დონის დაყენება	5
ა. როლოვი	ვაზის ახალი მტერი სარაბუსა	9
მ. ა. ჯალიაშვილი	მეფუტკრეს კალენდარი	10
ი. ქუთათელაძე	აბრეშუმის ჰარკის ახალი მოსავლის მოღობვაში	15
განცხადება		16

სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი ზივებისა: — ახოველი ვ., ანაზღუელი, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ელიაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კანელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარაღელი ვ., შანაბელი ა., მდივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს. გ. ვ., რცხილაძე ს. გ. ვ., ფურცელაძე ი., ფალავანიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გ., ხუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, ზემონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზით არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნ. ლ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვეწური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შუბრნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлиси, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**

მეურნეებ უნდა იცოდეს:

მცენარეები ითვისებენ ან ადამიანის და შინაურ ცხოველების საზრდას მისაღებად ან და მოსაქოვ ძაფის, საღებავ, საწამლავ და სხვ. საქირო მასალის მისაღებად.

პირველ გვარ მცენარეებიდან მეტი წილი (პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, ქვაფი, შვრია და სხვ.) ხორბალს იძლევიან, ხორბლეული მცენარეები არიან, ხოლო მცირედი ნაწილი კი (სათბი ბალახები, ხეხილები, მწვანეხეხილობა, ძირნაყოფიანი მცენარეები და სხვ.) მათი ფესვების, ღეროების, ფოთლების გულისათვისა ითვისებენ-ირგვებიან.

მცენარის ხორბალშია ც და მის სხვა ნაწილებშია ც სასაზრდოებელ ნივთიერებებს შეადგენენ: სახამებელი, შაქარი, ცხიმი (სიმსუქნე), ცილა და მინერალური მარილები.

ყველა ამ ნივთიერებებს ადამიანის სხეულისათვის სხვადასხვა დანიშნულება აქვთ: მინერალური მარილებიდან კეთდება სხეულის ძვლები; ცილადან წარმოსდგება ხორცი (კუნთები); სახამებლის, შაქრის და ცხიმიდან კიდევ სითბო სხეულისა.

საქმელს შემდგარს ამ ზემოხსენებული სინოცივირებიდან, ერევა პირში ნერწყვი, კუჭში—კუჭის წვენი, წვრილ ნაწლევებში—ნაღველა და ნაწლევების წვენი. ყველა ამ წვენების ზედმოქმედებით საქმელი იხარშება, ესე იგი მზადდება სხეულისათვის შესათვისებლად და როცა გადავა მსხვილ ნაწლევებში, აქ ამ ნაწლევების ხაოიანი ზედაპირის

საწუწნავებით რაც რამ ნოციერი ნივთიერებანი ურევიან საქმელს ისუტებიან და ჟვენავენ **ლიმფაში**. ლიმფას გააქვს-გამოაქვს ეს მასალა ყველგან სხეულში და ხმარდება სხეულის სითბოს წარმოსადგენად

სხეულის სითბო სათავეა სიცოცხლისა. ამ სითბოდან წარმოსდგება სხეულში კუნთების, ნერვების და ყოველი სხვა ენერგია.

სხეულში სითბო ჩნდება სუნთქვის შემწეობით.

ფილტვებში ჩასუნთქულს ჰაერს ჩაღვეს თან ჰაერის ერთი შემადგენელთაგანი ნაწილი—მჟავადი, რომელიც ფილტვებიდან თმის სისხო სისხლის მილებში შეჟვენით შედის სისხლში და მისდევს ამ სისხლს მთელს სხეულში, სადაც მჟავადი იგი უერთდება საქმლის სახარშ ორგანოებიდან მიღებულს სინოცივირებს: შაქარს, სახამებელს, ცხიმებს, რომელნიც ამნაირად იწვიან, ესე იგი უერთდებიან მჟავადს და წარმოსდგენენ ჰაერგვარ ნახშირ-მჟავეს და სითბოს.

აი ეს წარმომდგარი სითბო ხმარდება სხეულს **ენერგიად** და ნახშირმჟავე კი განიღვენება სხეულიდან.

ამგვარად, ჩვენა ვხედავთ, რომ ზემოხსენებული სინოცივირენი, რომელნიც მიიღებიან მცენარეებით, პირველ მნიშვნელოვანნი ყოფილან ადამიანისათვის და უიმათოდ არც ადამიანის და არც სხვა ცხოველების სიცოცხლე—არსებობა არ შეძლებულა.

ენახოთ ეხლა: მცენარეებში როგორ მზადდებიან ესოდენ მნიშვნელოვანი ნივთიერებანი.

ყოველი მცენარე შესდგება: ფესვებისაგან, ღერო-ტოტებისაგან და ფოთლებისაგან.

ფესვებით მცენარე იღებს მიწიდან სხვადასხვა მინერალურ მარილებს. ამ მარილების შესუტვა ხდება საწოვრებით, რომელნიც ბუსუსებივით ასხედან გარედან მცენარის ფესვებს.

საწოვრებს, ცხადია, მხოლოდ ისეთი მარილების შესუტვა შეეძლება, რომელნიც ღნებიან ნიადაგის სინესტეში. ამიტომ მეურნე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ეს ადვილად დასაღწი მარილები მცენარეებს უღვევად ჰქონდეთ ნიადაგში. ასეთი მარილების ყოფნა კი დამოკიდებულია ნიადაგის კარგად დამუშავებაზე. იმდენად მეტი იქნებიან ეს მარილები ნიადაგში, რაც უფრო მიწა ადრე იქნება გადმობრუნებული და მეტ ხანს იმოქმედებენ მასზედ ქარი, ყინვა, მზე და წვიმა.

მცენარეებს უმეტესად სჭირდებათ ფოსფორ-მჟავიანი, აზოტ-მჟავიანი და კალინარევი მარილები.

ფოსფორი და აზოტი ხმარდებიან მცენარეს თესლის გამოღებაში, კალი სჭირდება მათ ტანის აყრაში.

როცა ნიადაგი გამოიფიტება უნდა მას სწორედ ეს მარილები მივცეთ სასუქით.

ასეთ სასუქებს შეადგენენ: გვარჯილა (აზოტია შიგ), სუპერფოსფატი ან ტომასშლაკი (ფოსფორია შიგ), კალინარევი მარილები და კაინიტი (კალი არის შიგ).

საქონლის ნეხვში ყველა ეს სინათლე ყივრენი არიან, მხოლოდ ნეხვში უნდა დალპეს-დაიშალოს ნიადაგში, რომ ეს ნივთიერებანი განთავისუფლდნენ მცენარეების შესათვისებლად.

მცენარეული საქმელებიდან მიღებული ფოსფორი იხარჯება სხეულში ძვლების შედგენაზე, აზოტი კი ხმარდება მცენარეებს ცილას გასაკეთებლად, რომელიც ცხოველების სხეულში ხორცის შედგენაზე იხარჯება.

აქედან სჩანს რომ ფესვების შემწეობით მცენარე ღებულობს დედამიწიდან მხოლოდ ერთ მცირედ ნაწილს იმ საზრდოსას, რომელიც სჭირდება მას საერთოდ. მეტი წილი საზრდო კი მას ჰაერიდან მისდის ფოთლების შემწეობით.

ფოთლოს აქვს ზედაპირზედ ძლიერ წვრილი ილლიები, რომლებიდანაც შედის ფოთოლში ჰაერთან ერთად ჰაერგვარი ნახშირმჟავაც. ნახშირმჟავედან მცენარის ქლოროფილი მზის სითბოსინათლის ზედგავლენით აკეთებს სახამებელს. ამ სახამებლიდან შემდეგ კეთდება შაქარი, შაქრიდან ცხიმი და სპირტი. ყველა ეს ნივთიერებანი ამგვარად გროვდებიან მცენარეში და, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, არიან საჭირონი სხეულის სითბოს წარმოსადგენად.

ამ ნივთიერებებში—სახამებელში, შაქარში და ცხიმებში მოგროვილია მზის სითბო-სინათლე, რომელიც მიიზიდეს მცენარის ფოთლებმა ჰაერიდან და შეინახეს. რადგან სახამებლის, შაქრის და ცხიმების შესადგენად ჰაერში მყოფი ნახშირმჟავე და მზის სითბო-სინათლეა საჭირო, ამიტომ რაც უფრო ბლომად ექნება მცენარეს ერ-



თიკა და მეორეც, იმდენი უფრო კარგად გამოიკვებება იგი.

აი სწორედ ამისათვის ვაძლევთ უპირატესობას მცენარის წკრეხე დათვისას თესლის გაფანტვასთან შედარებით.

შეგნებული მეურნე იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ დარგულ-დათესილ მცენარეს გაუადვილოს საზრდოს მიღება ნიადაგიდანაც და ჰაერიდანაც.

ველური ადამიანი ოდესღაც უბრალო ბალახით იკვებებოდა. ის დრო დიდი ხანია გავიდა. დღეს განათლებულ მეურნეს შესწავლილი აქვს მცენარის ცხოვრება და იცის რომ ყოველი მცენარის ზრდა-ვითარება ორ ხანად იყოფა: 1) მცენარე ჯერ იზრდება, ტანს იყრის და 2) მერე, როცა ზრდა დაუმთავრდება, ნაყოფს იკეთებს. ამასთანავე ვამჩნევთ რომ რაც უფრო თესლი მაძლარია და სალი, იმდენი მცენარეც სალი იზრდება და ნაყოფსაც კარგს იკეთებს, ესე იგი იგივე ხდება, რასაც ცხოველების და ადამიანის სიცოცხლეში ვხედავთ.

მცენარის ზრდა-ვითარების შესწავლაში ჩვენ მივაგენით იმ გზას, როგორ უნდა გავაუმჯობესოთ მცენარის ჯიში და მივიღოთ საუკეთესო თესლი.

მცენარის თესლი შესდგება ორი ნაწილისაგან: **ნაყრი და ლებანი**. ნაყრიდან იზრდება ახალი მცენარე, ლებნებში კიდევ მოგროვილა საკვებავი სა-

ზრდო ნაყრისთვის საკმარისი იმდრო მდე, ვიდრე გაიზრდება იგი და თვით შესძლებს თავისი თავის გამოკვებას. ლებნებში მოგროვილი სასაზრდოებელი ნივთიერებანი არიან: სახამებელი, ცხიმი, შაქარი, ცილა და მინერალური მარილები. რაც უფრო ბლომად იქნებიან თესლში ეს საკვებავი ნივთიერებანი, იმდენი მცენარეც თამამი გაიზრდება და თესლსაც კარგს გაიკეთებს.

მაშასადამე, აქედან ცხადად სჩანს: 1) რომ თესლის გადარჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის მოყვანაში და 2) რომ თესლის ავ-კარგიანობა წონით გაიგება, რადგან რაც უფრო თესლი მაძლარია ანუ კარგი, იმდენი იგი უფრო მძიმე გამოვა.

გულუბრყვილო გლეხი იტყვის: აბა რად მინდა, შენი ჭირიმე, ყველა ეს რო დაუწერიათ. ე მოხვნა-დაბარვა უამისოდაც ვიცი. თესლი რო გადაირჩეს და ისე დაითესოს, ესეც კარგად ვიცი, რო ემჯობინება. მეტი რაღა მინდა.

ამის მთქმელს ვეტყვი: ბრმა ცხენიც წავა, ზედ რო შეჯდე, და თვალხილულიც, მაგრამ აბა შეადარე სიარული ერთისაც და მეორისაც. შეგნებული და შეუგნებელი მეურნეც ასე შეედრებიან ერთმანეთს.

ვ. გულბაათიშვილი

საეკლესიო ღვინის ღაყენება

რუსეთში, იმ ადგილებში, სადაც ვაზი არა გვარობს, ეკლესიებში ზედაშედ წითელ ტკბილ ღვინოს ხმარობენ. ეს

ჩვეულება ალბად საბერძნეთიდან არის გადმოტანილი, სადაც ბუნებრივად ტკბილი ღვინო დგება და ზიარებესაც



ამ ღვინით ამზადებენ. იმ ქვეყნებში კი სადაც მევენახეობას მისდევენ ხმარობენ უბრალო წითელ ღვინოს როგორც ბუნებრივად დგება, როგორც მაგ. ჩვენში, ბესსარაბიაში და სხვაგან. რუსეთი დიდი სახელმწიფოა, მისი უმეტესი ნაწილი მევენახეობას არ მისდევს. ამიტომ დიდი ძალი საეკლესიო ღვინო საღდება აქ საყდრებში და მონასტრებში სახმარებლად. ამ ღვინოს ასაღებენ ყირიმი და უკანასკნელ დროს კავკასიის ზოგიერთი ალაგებიც. მინამ რუსეთში მევენახეობა გაძლიერდებოდა ამოდენა ღვინო მოდიოდა რუსეთში საზღვარგარეთიდან სხვადასხვა სახელებით.

ტკბილი ღვინის ხმარება ისეა დამკვიდრებული, რუსეთში, რომ, თუ ეს ღვინო არ მოეპოებათ, ხმარობენ უბრალო „ნალივკებს“ და „ლიკიორებს“.

უძველეს დროიდან ქალაქები რიგა, ოდესა, მოსკოვი დიდძალ საეკლესიო ღვინოს აკეთებენ საყდრებისათვის. ეს ღვინო რასაკვირველია ხელოვნურად არის გაკეთებული.

კეთდება ეს საეკლესიო ღვინო ასე: აიღებენ სულ უბრალო წითელ ღვინოს და ქარხლიდან გამოხდილ შაქრით (ჩაიში რომ ხმარობენ) შაქრავენ, შემდეგ შეურევენ სპირტს და ფერი თუ თხელი აქვს შეღებავენ. ეკლესიის კანონებით საეკლესიო ღვინო უნდა იყოს მხოლოდ ყურძნის წვენი და უცხო ნივთიერება სრულიად არ უნდა ერიოს. ამიტომ შაქრის მაგივრად ეხლა ბაქმანის ხმარება შემოიღეს.

ბაქმანით გაკეთებულ ღვინოს დიდი ნაკლულევანება აქვს. ჯერ ერთი ბაქმანი ღვინოს აძლევს თავის დამწვარ შაქრის გემოს, რომელიც საეკლესიო

ღვინის გემოს არ შეეფერება. ამასთან ბაქმანი საზოგადოდ თეთრი ყურძნისაა და წითელ ღვინოს ფერს უთხელებს, სჭირდება ღვინოს შეღებვა, რაც ისე იგივე ფალსიფიკაციაა. ასე თუ ისე ორივე შემთხვევაში ღვინო გამოდის დაბალი ხარისხისა. ამიტომ ამ ბოლო დროს ძლიერ იმატა მოთხოვნილებამ ბუნებრივად დაყენებულ საეკლესიო ღვინოზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას მალე ხელს შეუწყობს კანონი, რომელიც შემუშავებულია და დამტკიცებას-ლა მოელის.

ბუნებრივად საეკლესიო ღვინო შეიძლება დადგეს ყირიმში და ამიერ კავკასიაში. მოსკოვის მეღვინეთა კრებამ 1894 წელს (?) გამოსთქვა ის აზრი, რომ საუკეთესო საეკლესიო ღვინო დგება კახეთში. ეს სრულებით მართალია ამას ხელს უწყობს როგორც კახეთის ბუნება ისე თვით ვაზის ჯიში — კახური საფერავი.

ჩვენში ბევრი ალაგებია ისეთი, სადაც თუ წელიწადი კარგია და დაკრეფა დაუგვიანდა საფერავს, მის ტკბილში შაქრის რაოდენობა თითქმის 30% აღემატება, დაწურული წვენი ყურძნისა არა დუღდება სავსებით და ღვინო ტკბილი გამოდის. რაც უნდა კარგი პირობები იყოს ასეთი ტკბილის დადუღება შეუძლებელია: 30% შაქარმა დაახლოებით უნდა მოგვცეს 18% სპირტი (ტანით), დუღიდედსა კი შეუძლიან მოქმედება მინამ სპირტი კახურ ღვინოში 15—16° არ აღემატება. ამ სახით რამოდენიმე ნაწილი შაქრისა დაუშლელი რჩება და სიტკბოს აძლევს ღვინოს. რაც შეეხება ფერს, ამაზედ ლაპარაკიც კი მეტია. ჩვენი ქვეყნის ბევრ ადგილებში, სადაც ბუნებრივად



ტკბილი წითელი ღვინოები იცის და უსიამოვნო დასალევია სუფრაზე, საუკეთესო საეკლესიო ღვინო შეგვიძლიან დავაყენოთ. რასაკვირველია ამით ამას არ ვამბობთ, რომ იმავე ალაგებში კარგი დასალევი ღვინო არ შეიძლებოდეს დავაყენოთ. ხოლო თუ საეკლესიო ღვინოც დადგება და ამასთან საუკეთესოც, რასაკვირველია ეს ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან საეკლესიო ღვინო გაცილებით მეტათა ფასობს.

რუსეთში ხალხი ტკბილი და მაგარი ღვინის მოყვარულია, საეკლესიო ღვინოს სუფრაზედაცა სვამენ.

საეკლესიო ღვინო ჩვენში უნდა დადგეს შავი ყურძნისაგან, სახელდობრ საფერავისაგან. თუ ამინდი კარგია ყურძენს ჩვეულებრივზე მეტად დაამწიფებენ ხოლმე.

საეკლესიო ღვინო რომ კარგი გამოვიდეს კლერტი უნდა გაცალდეს ყურძენს და ისე დაიწუროს. ეს აუცილებელია თუ სპირტს დუღილის დროს, ჭაჭაზე მივცემთ. კლერტს აცლიან ან კლერტ საცლელ მანქანით ან ეგრედ წოდებულ ყურძნის **სასრესით**. თუ კლერტის საცლელი მანქანა აცლის კლერტს და სჭყლეტს კიდევაც მარცვალს, მაშინ შეიძლება მანქანა პირდაპირ ქვევრზე დაიდგას და ჩაიწუროს ყურძენი ქვევრში.

ეს მანქანა ძალიან მარდია და არც ისე ძვირი ღირს (ადგილობრივ ქალაქში ფასობს 55-დან—210 მანეთამდე). სასრესი მაშინის გასაკეთებლად აიღებენ პატარა პირგანიერ ბოჩკას, შეკრავენ მუხის ფიცრებს ბურაოთი დაჩვრეტილებს, მოსჭრიან რგვლად და მოაწყობენ ისე, რომ 4 ვერშოკის სიღრ-

მეზე გამაგრდეს ბოჩკაში. ნაჩვენებები უნდა იყოს ხშირი და მასთან რომ მარცვალი თავისუფლად ეტეოდეს შიგ.

ყურძენს დაყრიან დაცხრილულ ფიჭარზე და სრესავენ. მარცვალი სწყდება ყურძენს და ცვივა ბოჩკაში.

კლერტი ძალიან ადვილად ეცლება საფერავს, ლორწოიან ყურძენს კი ძნელად. სასრესში გატარებული ყურძენი პირდაპირ დასადუღებლად არ ივარგებს. ჯერ უნდა უნდა ყურძნის საჭყლეტ მანქანაში გავატაროთ და ისე ჩაუშვათ ქვევრში. (ყურძნის საჭყლეტი ღირს 34—100 მანეთამდე). თუ ეს მანქანა არა გვაქვს მაშინ მარცვალი შეიძლება ნავში დაიწუროს.

როგორც ზემოთა ვსთქვით საეკლესიო ღვინო ტკბილია და გაცილებით მაგარი უბრალო სასმელ ღვინოზე. ასეთი სიმაგრე და სიტკბო მხოლოდ ხელოვნურად დაყენებულ ღვინოს შეიძლება მივცეთ. ამისათვის უნდა ასე მოვიქცეთ: დუღილის დროს ან გადადუღების შემდეგ ჭაჭაზე ღვინოს უნდა მივუმატოთ სპირტი. სპირტი უნდა იყოს უსათუოდ ყურძნისა, ესეიგი ან ღვინისა და ან კიდევ თხლე-ჭაჭისა, მხოლოდ ორივე შემთხვევაში კარგად გასუფთავებული და მაგარი, არა ნაკლებ 85⁰. ჭაჭაზე დასხმული სპირტი უფრო კარგა ერევა ღვინოს, რომელიც სქელიც გამოდის და ფერიანიც. ხოლო სპირტი მეტი უნდება. ამიტომ ბევრნი, როცა ჭაჭიდან გადაიღებენ ღვინოს, მაშინ უმატებენ სპირტს. მისამატებელი სპირტის რაოდენობა დამოკიდებულია შაქრის რაოდენობაზე ტკბილში და იმაზე თუ რა სიტკბოს და სიმაგრის ღვინო გვინდა დავაყენოთ.



ამიტომ ჯერ საჭიროა ვიცოდეთ ტკბილის სისქე ანუ შაქრის რაოდენობა ტკბილში, რასაც გამოიკვლევვენ შაქრის საზომით, და შემდეგ გამოვიანგარიშოთ, რამდენ პროცენტს სპირტს მოგვცემს ის შაქარი, რომელიც უნდა დადუღდეს. ავიღოთ მაგალითი. მაგ. ტკბილში არის ყოველ 100 კუბ. სან. 25 გრ. შაქარი, საჭიროა დავაყენოთ საეკლესიო ღვინო, რომელშიაც უნდა იყოს 10 გრ. შაქარი (სიტკბო) ყოველ 100 კუბ. სან. ღვინოში, ანუ როგორც პრაქტიკაში იტყვიან უნდა ღვინოში იყოს 10⁰/100 შაქარი. მაშასადამე აღებულ ტკბილში დაიდუღებს მხოლოდ 15⁰/100 შაქარი ო მოგვცემს 9⁰/100 სპირტს (ტანით)

$$\left(\frac{100-60}{15-x} \cdot x = \frac{60 \cdot 15}{100} = 9,0 \right).$$

მაშ გამოდის, საჭიროა კიდევ 9⁰/100 სიმაგრე, რომ სასურველი ღვინო დადგეს. ახლა ვიანგარიშოთ: რამდენი ვედრო 85⁰-ნი სპირტი მოუნდება მაგალითად 100 ვედრო ღვინოს ამისათვის. რომ სუფთა უწყლო სპირტი გვქონდეს, მაშინ რასაკვირველია ანგარიში ადვილი იქნება. მაგრამ ჩვენა გვაქვს წყალნარევი სპირტი (100 ნაწილში 10 ნაწილი წყალია). ამასთანავე სპირტი და ღვინო ერთად არეული ტანს კლებულობენ: ერთი ვედრო სპირტი და ერთი ვედრო ღვინო რომ აურიოთ ნარევი 2 ვედრო კი არა ნაკლები დგება. ამიტომ სპირტის მიმატება მატემტიკურად გამოანგარიშებული ფორმულით ხდება. ზოგი ამ ფორმულებთანავე ძალიან რთულია და აქ არ მოვიყვანთ. პრაქტიკისთვის სა-

კმარისია ჩვენის აზრით შემდეგი ფორმულა

$$x = \frac{a \cdot b}{b-d}$$

- x არის მისამატებელ სპირტის რაოდენობა რომელიმე საწყაოთი,
 - a ღვინის რაოდენობა იგივე საწყაოთი,
 - b % რამდენითაც უნდა გამაგრდეს ღვინო,
 - d გრადუსი მისამატებელ სპირტისა.
- ჩვენ მაგალითში a იქნება — 100 ვედ. b — 9, d — 85. ეს ციფრები რომ დავსვათ ასოების მაგივრად ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს, რომელიც ადვილი საანგარიშებელია.

$$x = \frac{100 \cdot 9}{85 - 9} = 11,84 \text{ ვედ.}$$

ესე იგი თერთმეტი ვედრო და რვაკვარტ ნახევარი სპირტია საჭირო, რომ 100 ვედ. ღვინო 9⁰/100 გამაგრდეს.

სპირტი, მიუხედავად იმისა ჭაჭაზე ვაძლევთ ღვინოს თუ ჭაჭიდან გადადებულს, ნაწილ-ნაწილ უნდა მიეცეს ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით. ამ შემთხვევაში სპირტი უფრო კარგად ეთვისება ღვინოს. აგრედვე საჭიროა ღვინოს სპირტის დასხმის წინ გაუზომოთ ხოლმე სიმაგრე, რომ ნორმას არ გადასცილდეს დუღილი. ამ შემთხვევისთვის იხმარება **სალერონის** სპირტის საზომავი. აგრედვე არსებობს არეომეტრები ღვინოში შაქრის გასაზომად (ბრიქსის არეომეტრი).

უკანასკნელი ნაწილი სპირტი ღვინოს უნდა მიეცეს იმ ანგარიშით, რომ დუღილი სრულიად გაყუჩდეს.

კარგ მარანში ასეთი ღვინო წლობით შეინახება.

ვაზის ახალი მტერი ხარაბუზა

ამ რამდენიმე კვირის წინად ჟურ. „**მოსავლის**“ რედაქციას სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედან თ-და. ჯორჯაძესაგან მოუვიდა რამდენიმე ცალი ცოცხალი ხარაბუზა, რომელიც, როგორც იტყობინებიან, ბლომად გაჩენილა წლეულ გაზაფხულზე სოფელ ანაგის და სხვა სოფლების ვენახებში კახეთში.

ამავე დროს, იგივე ხარაბუზა ვაზის რქაში ჩაბუდებული მოიყვანა ჩვენს რედაქციაში ერთმა მემამულემ გლდან-აეჭალის ვენახებიდან და ჩიოდა; „მეტად გამრავლდა ეს ხარაბუზა ვაზებზე, ღრღნის ვაზის რქას და ახმობსო“.

ხარაბუზა იგი იწოდება ლათინურად *Sinoxylon bispinosum*, ეკუთვნის ხის მღრღნელ ქიებს (*Bostrychidae*) და დიდად აზარალებს ვაზს, რადგან ვაზის რქასა ხვრეტავს, შიგ რქაში ჩასახლდება ხოლმე და რქის ცილასა სჭამს, რისგამო რქა ფუტუროვდება და სტყდება.

Sinoxylon bispinosum არის ავსტრიაში, ტიროლში, შვეიცარიაში და იტალიაში; წაგავს *Sinoxylon Sexdentatum* olio-ს, რომელიც გავრცელებულია სამხრეთ საფრანგეთის და ყირიმის ვენახებში.

Sinoxylon bispinosum პირველად იყო შემჩნეული კახეთის ვენახებში ამ 12 წლის წინად, ხოლო დაზარალება ვენახებს წლევიანდელიდგან შეეტყოთ.

ხარაბუზა იზრდება სიგრძით 6—7 მილიმეტრი, ფერით შავია, ბუსუსები აქვს ბაცი, თავი მოგრძო, მორგვის მა-

გვარი აქვს, ესეიგი წინ და უკან ერთნაირი სიგრძე-სიგანისა და თითქო მხრებშია ჩამჯდარიო; შუბლი პრტყელი აქვს ძირს დაშვებული; ულვაშები ხერხის კბილებს წაუგავს.

ხარაბუზას ფუმფულა მოხრილია, წინ ცოტა უფრო სქელია, თეთრი ფერისაა, თავი პატარა აქვს, თვალები არ უჩანს, სამი წყვილი ფეხი აქვს გრძელები.

ხარაბუზაც და მის ფუმფულაც ხვრეტავენ ვაზის რქას და შედიან რქის ცილაში, სადაც ბინავდებიან ერთად და იკვებებიან რქის ცილათი, რის გამო ვაზის რქა კვდება და სტყდება.

რქაში შესავალი გზა მუდამ რგვალ ფოსოს წარმოადგენს.

უფრო ადვილად ბებერი ვაზი იჩაგრება და უმუშავებელ ვენახში, დაცემულ ვაკე და ნესტიან ადგილებში.

ბრძოლა: ჯერ-ჯერობით არაფერი საშუალება არ არის გამოგონილი ისეთი, რომ ადვილი სახმარებელი იყოს ამ მაზარალებლის წინააღმდეგ. ზოგნი ფიქრობენ რომ ეს ხარაბუზა იმ ვენახებში ჩნდება პირველად, სადაც ნედლ ქიგოს ახმარებენ. ბინადრობს იგი ხარაბუზა უფრო მითომ მუხის და ლელვის ხის ცილაში; აქედან გადადის სხვა ნედლ ქიგო-მერქანში და მერე თვით ვაზის რქაშიაც.

ამიტომ ურჩევნ მოარიდონ ვენახს შეძლებისდაგვარად ნედლი ქიგო-სარი, მეტადრე ნედლი მუხისა, ხშირ-ხშირად შინჯონ ქიგოცა და ვაზის რქაც ვენახში და საცა შეამჩნევენ ამ ხარაბუზას, ამოიღონ ქიგოც, მოსკრან ვაზს დაავა-



დებული რქაც, გამოიტანონ ვენახიდან და დაწვან.

ამბობენ, ვაზსა შველის ამ მაზარა-ლებლის წინააღმდეგ კირში ახელილი თიხა რომ წაუსვით ვაზს მთელ ტან-ზელო.

ა. როლოვი.

შენიშვნა: რაკი ვაზი გაიღვიძებს და წვენი დაიწყებს დენას, შიგ რქაში დაბინავებული

ხარაბუზა, უნდა ვიფიქროთ, მოკვდებოდა თუ მანამდე ვაზის რქა შექმული არ უარეს და წვენი ვაზისა იმუშავებს.

რომ წლეულ გაზაფხულზე გამრავალდა ეს მაზარალებელი, ამისი მიზეზი, ჩვენის აზრით, წლევიანდელი მეტად ცივი ზამთარი უნდა ყოფილიყოს. ვაზი სიცივისაგან ბევრგან დაძრა, ხმოზა დაიწყა და ხმოზაში ჩავარდნილი ვაზი კი საუკეთესო საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა ხსენებულ ხარაბუზასათვის.

რედ.

მეფუტკრეს კალენდარი

მაისი

მაისი ნაყოფის ხანაა.

ნაყოფიერი დედოს მექონე ოჯახი მაისის ნახევრამდე საკმაოდ ძლიერდება. ივსებს, ისწორებს ყოველგვარს ნაკლს-ზიანს, რაც კი მკაცრმა ზამთარმა მიაცენა მას და ახლა უკვე თავის ჩამომავლობის, გამრავლების საქმეს სჭიდებს ხელს.

აქედან უკვე იწყობა ნაყოფი, ფუტკართა დამოუკიდებელ ოჯახებად დაყოფა.

ჯერ ისევ დილაა, 9—10 საათი. აგერ ერთ ერთ სკას, რომელსაც გუშინ გახურებული მუშაობა ედგა, ეხლა რაღაც უხალისობა ემჩნევა: ფუტკრები ან სულ აღარ მიდიან სამუშაოდ და თუ მიდიან,—ძალიან ნაკლები რიცხვით, მომეტებულს მათგანს მისაფრენისაკენ მიუქცევიათ პირი და გაფაციცებით აქნევენ ფრთებს.

ამის შემდეგ არ გასულა რამოდენიმე წუთი და თვალწინ გვიდგება დიდებული სურათი: აუარებელი ფუტკარი თავპირის მტვრევით, გამორბის სკიდან, თითქოს იქიდან ძალით ერე-

კებოდეს ვინმე კარზედ, და ბოლოს მალლა ჰაერში დგება მათი მხიარული გუგუნე. ეს ამოძრავებული ცოცხალი ღრუბელი, რამოდენიმე ათი-ათასი ფუტკრისაგან შემდგარი, თავს დასტრიალებს საფუტკრეს და ეძებენ დროებით თავშესაფარს.

ამ დროს პატრონებსაც ერთი ალიაქოთი-განგაში აქვთ. ზოგი ტაშტს მოარბენინებს წკარუნ-ბრახუნით, ზოგნი—წყალსა და ნაცარს აპკურებენ ჰაერში მოგუგუნე ფუტკართა ჯარს და ზოგნი კი, უფრო მოხუცნი,—მუდარით შეღაღადებენ.—„მო, დედო! მო, დედო“!—ს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ეს ფუტკართა ჯარი წყნარდება, თითქო მართლა უსმინეს პატრონების ხვეწნამუდარასაო, და იწყობენ სადმე ხისტოტზედ, ან, თუ საფუტკრის ახლო ასეთი არა იმყოფება—რა,—ლობზედ, მარგილზედ, საბძელზედ და სხვა ამ გვარს საგნებზედ შეხუნწვლას. ამგვარად შეხუნწვლილი ფუტკარი წააგავს დიდს ბუშტს, რომელიც იმყოფება ასეთს გარემოებაში ორ-სამ საათამდე

და ხან უფრო მეტსაც. შემდეგ-კი, თუ პატრონი არ მიეშველება, ფუტკარი ისევ იშლება და ისარივით გარბის ტყისკენ, სადაც აღრევე აქვს ამორჩეული ახალი ბინა.

ფუტკრის ასეთს ამხედრება-გამოყოფას ძველი ოჯახიდან ეწოდება **ნაყრობა**, თვით გამოყოფილს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, გამონაყარ ფუტკარს კი — **ნაყარი**, მართვი.

რა მოხდა, რამ აიძულა იგინი, რომ აღარ ისურვეს ძველ ბინაზედ დარჩენა? ფუტკართა თანხმობით ცხოვრება ხომ ყველგან ცნობილია, — ნუ თუ ეხლა უარს ჰყოფენ ასეთს თანხმობას, კეთილ განწყობილებას? — არა! იგინიც ექვემდებარებიან გამრავლების საზოგადო კანონს: — ნაყარი — პირმშო შვილია იმ ოჯახისა, რომელმაც იყარა იგი, და ამისათვის ნაყრობა უთანხმოების შედეგი კი არაა, პირიქით, მასში გამოიხატება ბუნების შეუდრეკელი მზრუნველობა ფუტკართა მოდგმის მთლიანობაზედ, აღორძინებაზედ.

ნაყრობას ყოველთვის წინ მიუძღვის შესაფერი მზადება ფუტკრების მხრივ. მაისის შუა რიცხვებიდან, როდესაც სკაში შესამჩნევად მრავლდება ფუტკარი და მთელი ოჯახი გადასწყვეტავს გაყრას, ფუტკრები უპირველეს ყოვლისა შეუდგებიან ახალი დედების აღზრდას. ამის მიზნით ირჩევენ იგინი ფიჭის განაპირა ადგილებში (იშვიათ შემთხვევაში შუაგულზედ) ერთს ან რამდენსამე **განაყოფიერებულს**, დამამლულს კვერცხს და მათ გარშემო უშენებენ ჩვეულებრივზე უფრო ფართო უჯრებს, რომლებიც პირველ ხანებში წააგვანან მუხის რკოს ჯამს. ამ ჯამში გამოიჩეკება თუ არა სადედო

კია, იმ წამსვე ვაღია ფუტკრები უხვად აძლევენ ერთგვარს ნაზს საკმელის-რომის მელსაც ეწოდება **რძის ღაფა**. ეს ფაფა რძის ფერია, ამზადებენ მას მუშა ფუტკრები, უფრო კი ახალგაზდები, განსაკუთრებული ორგანოებით, რომლებიც მოთავსებული აქვთ პირში, სწორედ ისე, როგორადაც მზადდება ადამიანის ნერწყვი. ამ საკმელში სკარბობს აზოტი და ამისათვის იგი ადვილი მოსაწებელია და შემრგო. ესეთი საკმელი ეძლევა საზოგადოდ ყველა ახლად გამოჩეკილს ბარტყს იმ განსხვავებით კი, რომ უბრალო ფუმფლას (ე. ი. სამუშეს და სამამლეს) იგი მხოლოდ პირველს სამ დღეს ეძლევა, სადედო ფუმფლას კი მთელს მის აღზრდაში, ე. ი. პირველი დღიდან მოკიდებული, ვიდრე უჯრიდან გამოსვლამდე. ამისათვის არც საკვირველია, რომ სადედო ფუმფლა უფრო თამამი იზრდება და აღრეც იზადება უჯრიდან, ვიდრე სხვა ფუტკრები — მამალი და მუშა.

რამდენადაც ზრდაში შედის სადედო ფუმფლა, იმდენად ვაღია ფუტკრები უმატებენ სადედო უჯრის აშენებას; მეცხრე — მეათე დღეს ბექდავენ, ხურავენ თავს და ამის შემდეგ ბეჯითად უდარაჯებენ, რომ ძველი დედა, რომელიც თავისუფლად დაბრძანდება სკაში, შემთხვევით არ წააწყდეს სადედოებს და არ ამოხოცოს შიგ ახალი დედოები.

საზოგადოდ, როგორც წინადაც მოვისხენით, სკაში მხოლოდ ერთი დედა მეფობს. მას საშინლადა სძულს სხვა დედა. რაწამსაც შეამჩნევს გადაბექდილს სადედოებს, იმწამსვე იმსკვლება იგი მტრობითა და შუღლით

და გაექანება ხოლმე მათ შესამუს-
რავად, მაგრამ გაღია-ღარაჯ ფუტ-
კრებისაგან უკუქცეული, გამორბის
უკანვე ბრაზ-მორცული და გამწა-
რებული. ასეთს იერიშს რამდენჯერმე
მიიტანს ხოლმე, მაგრამ უნაყოფოდ.
მოთმინებიდან გამოსულს რაღა დარჩე-
ნია?—სტოვებს ძველს ბინას და გა-
მორბის კარზედ, რომელსაც თან გა-
მოსდევნენ მრავალი სხვა მომხრე ფუტკ-
რებიც.

ეს არის პირველი ნაყარი, რომელ-
საც ეწოდება **ნამთავრალი**. ნამთავრალ
ნაყარს თან გამოსდევს ძველი დედა,
თუ ძველი დედა აღარ არის, ნამთავ-
რალს გამოსდევს პირველი ახლად და-
ბადებული დედა.

ნამთავრალის გამოსვლა შეიძლება
შევატყოთ იმით რომ სანაყროდ მომზა-
დებული ოჯახი, ხელს იღებს ჩვეუ-
ლებრივ მუშაობაზედ *). ხოლო თუ
ბუდეს დავშლით და იქ შევნიშნავთ
გადაბეჭდილს სადედოებს, მაშინ კი
უეჭველად უნდა ველოდდეთ აქედან
ნამთავრალს, თუ დაჟინებული ავდრე-
ბი არ დაიჭირა. ასეთს შემთხვევაში
ფუტკრები გადიფიქრებენ ხოლმე გა-
ყრას: ხსნიან სადედოებს ალყას, და
აძლევვენ ძველ დედას, ახალი დედოე-
ბის ამოხოცვის ნებას. ძველი დედაც
დაუნდობლად ჰფუშავს გვერდიდან სა-
დედოებს, ჰყოფს შიგ უკანა ტანს და
შხამიანი ნესტარით ხოცავს ახალგაზდა
დედებს.

ნამთავრალის გამოსვლის შემდეგ მე-
შვიდე-მერვე დღეს გამოიჩეკება უჯ-
რიდან უფროსი ახალი დედა და ოჯა-

*) ალბად იმისათვის, რომ ამ დროს იგინი
სამგზავრო საგძლით იტვირთებიან და სხვა
საქმიანობა იმათ აღარ აინტერესებთ.

ხიც შეუდგება ახალი კითხვის გადაწე-
ყვეტას—იყაროს მეორედაც თუ
თუ რომ მინდორში არ შეწყვეტილა
ღალა, ამინდი კარგია და ფუტკარიც
ბლომადაა სკაში, ეს საკითხი გაყრის
სასარგებლოდ წყდება. ამ დროს სალა-
მოთი ან დილით რომ მიხვიდეთ სკა-
სთან და ყური დაუგლოთ, შენიშნავთ
დედების, სიმდერას: პირველად გამო-
სული ახალგაზდა დედა, თავგანწირვით
მირბის სადედოებთან თავისი დების შე-
სამუსრავად, მაგრამ აქ მას ელობებიან
მოღარაჯე ფუტკრები და ხან დარბაი-
სულად, ხან კი ქიმუნჯის კვრით აგრძ-
ნობინებენ, რომ ზოგჯერ დიდი უფ-
ლებების მექონეთაც შეიძლება აეკრძა-
ლოთ ის, რაც მათ ჟინიანობას სურს.
ასეთს შემთხვევაში შეურაცხყოფილი
დედა დარბის ფიჭებზედ და გამწარებით
წივის: „ტივ-ტივ-ტივ“. სადედოებში
მყოფი დედებიკი, რომელთაც მხოლოდ
ოდნავ გადაუქერქიათ თავისი აკვნის სა-
ხური ჰაერის გულისთვის და, ცხადია,
ესმით დედის ასეთი წივილი, თავის
მხრითაც უპასუხებენ შედარებით უფ-
რო ყრუ ხმით: „კვა-კვა-კვა“! ასეთი
სიმდერა-გამომხმობა უტყუარი ნიშანია,
რომ მეორე დღეს ამ სკიდან მივიღებთ
მეორე ნაყარს—**ნამეორალს**, ახალი
დაუმამლავის დედოთი. ეს ხდება მერვე
დღეს, შემდეგ ნამთავრალის გამოსვ-
ლისა, თუ ცუდი ამინდი არ დაიჭი-
რა. მხოლოდ თხუთმეტი დღის იქით
კი ეს ვადა არც როდის არ გადას-
ცილდება.

მესამე დღეს ნამეორალს მოსდევს
მესამე ნაყარი, ამას კიდევ ყოველ-
დღე დანარჩენი ნაყრები, რომელ-
თაც, საზოგადოდ, **ნაბოლარები** ეწო-
დებათ.

ნაბოლარები ერთობ სუსტს ოჯახს წარმოადგენენ და ასუსტებენ თავის გამოყოფით ოჯახს. ამისათვის მეფუტკრე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ თვითელს ოჯახს, ისიც თუ ღონიერია იგი, ერთხელ მეტად არ აყრეწინოს.

ნაბოლარა ნაყრებს რამდენიმე დედები გამოსდევთ, რომელთაც ერთ დროს მოუსწვრიათ სადღეღობებიდან გამოჩვევა-გამოსვლა. ახალ სკაში დაბინავების შემდეგ ესენი ჰმართავენ ომს ერთმანეთს შორის და გამარჯვებული რჩება მხოლოდ ერთი დედა. დანარჩენებს, ბრძოლის ველზედ დახოცილებს, ფუტკრები კარზედა ჰყრიან.

რომ რამდენიმე დედები, ნაბოლარა ნაყრიდან აკრეფილები, მოათავსოთ დაპირქვავებული ჭიქის ქვეშ, ამ თავგანწირულს დედების ომს თქვენის თვალითა ნახავთ.

ნაყარის აკრეფა და ახალს სკაში დაბინავება.—ახლად გამოსულს ნაყარს ძალიან მალე არ უნდა აკრეფა:—უნდა დასცალდეს ერთ ალაგას შეხვევა და დაწყნარება. მანამდე გავმართავთ სკას, რომელშიაც ახალი ნაყარის დაბინავება გვწადიან. სკას დავამზადებთ ასე: ამორჩეულს ადგილზე დავდგამთ ცარიელს. სკას, გავასწორებთ შვეულზედ, რომ ფიჭები სწორედ ჩაიტანონ ფუტკრებმა და ჩავაწყობთ შიგ იმდენ ჩარჩოს, რამდენის დაფარვასაც შესძლებს ახალი ნაყარი. სასურველია, რომ შუა გულში სამიოდე ფიჭა-დამთავრებული ჩარჩოები ჩაიდგას, თორემ როდესაც სკაში მარტო ხელოვნური ფიჭებია ადვილად იჭლდებიან, მით უმეტეს, რომ გახურებული ნაყარი ძალიან დიდ სიცხეს აჩენს სკაში. ჩარჩოებს ზემო-

დან დაეხურებათ ტილო და სკის ნაყარს ხურავი. აგრედვე მისაფრენის წინაც აეფარება ტილო ან ზეწარი. საჭიროა ტილოს ნაკეციები არა ჰქონდეს იმ მხარეზე, საითაც მისაფრენი არის დატანებული, რადგან, როდესაც ფუტკრებს წინ რაიმე დაბრკოლება ელოდებათ, უკანვე ბრუნდებიან ხშირად და ამით ნაყარის დაბინავება გვიანდება. გარდა ამისა ახალს ნაყარს უფრო მეტი სიგრილე და ჰაერი ესაჭიროება. ამისათვის მისაფრენი უნდა გაფართოვდეს:—წინადან აიწიოს ბუდე და დასტანდეს ძირსა და ბუდეს შუა თითის სისქე ჩხირები. ამით ფუტკარს სკაში შესვლაც გაუადვილდება.

როდესაც ვავამზადებთ სკას, ახლა თვით ნაყარის აკრეფას შევეუდგებით.

თუ ნაყარი ძალიან მსხვილს ტოტზე არ არის შეხვეული, ტოტიანათ გადმოვიტანთ ნაყარს სკის წინ მიფენილს ტილოზე, რომელზედაც ფრთხილად დავბერტყავთ. საზოგადოდ ნაყარობის დროს ფუტკრებს ძალიან ეძნელებათ ფრენა, რადგანაც მძიმედ არიან დატვირთულნი თაფლით და უფრო მოსვენებას ეძებენ.

ტილოზე დაყრილი ნაყარი ჯერ აქეთ-იქით იქსაქსება მთელ ტილოზედ, მარამ როდესაც რამდენიმე ფუტკარი შევა სკაში და იქიდან მხიარულის ხმით აუწყებენ გარედ მყოფს ამხანაგებს საუცხოვოდ მოწყობილის ბინის პოვნას, ეს აუარებელი ფუტკარის ლაშქარი, მხიარულის სიმღერა-ზეიმით მიდის ახალ ბინაში. სადღაა წელანდელი არეულობა!—ახლა ვერც ერთს ფუტკარს ვეღარ ნახავთ უგზო-უკვლოდ მარბენალს,—ყველას სკისკენ მიუქცევია პირი და მიეშურება იქით!..

მაგრამ ერთი ალიაქოთი ასტყდება ხოლმე მათ შორის, როდესაც დედას შეუგვიანდება სკაში შესვლა. ფუტკრების მხიარული ხმა სწრაფად ნაღვლიან კილოზე იცვლება, სკიდან კარზედვე გამოდიან, აუწყებენ ამ სამწუხარო ამბავს კარზე მყოფ ამხანაგებსაც, რომლებიც ხელადვე ჩერდებიან სკის წინ და იწყებენ ტილოზე წოწილს ძვირფასი დედას საპოვნელად.

ასეთს შემთხვევაში საჭიროა ჩვენ თვითონ მოვხილოთ დედა და ძალად შევადგოთ სკაში.

ნაყრის აკრფის დროს ზოგჯერ მრავალს დაბრკოლებებს შევხვდებით: ნაყარი იწყებს შეხვევას ზოგჯერ ისეთს უხერხულს ადგილზე, საიდანაც მისი აკრფვა მეტად ძნელდება.

ასეთია, მაგალითად: მაღალი ხის კენწეროები, მსხვილი ტოტი, რომლის დარხევა შეუძლებელი ხდება; ეკლიანი ლობეები, ჩირგვები და სხვ.

ამისთანა შემთხვევაში მეფუტკრემ ხელი უნდა შეუშალოს ნაყარს, რომ ასეთს ადგილებზე არ შეეხვიოს იგი. ამისათვის არსებობს ერთგვარი პრწყლის **სანაყრე** (იხ. სურ.), რომელიც უნდა მიედგას იმ ადგილას, სადაც ნაყარი აპირებს შეხვევას. თუ ნაყარი დაბლა ეხვევა ისე რომ ხელით შესწვდება კაცი, მაშინ ხელით შეიძლება დავიკიროთ სანაყრე. საშიშო არა არის-რა:

ნაყრობის დროს ფუტკრები აბნევიან ბენ, არ იკბინებიან, თუ თვით მეფუტკთავისი უგვანო ქცევით არ გამოიყვანა მოთმინებიდან.


როდესაც ნაწილი ფუტკრებისა შეეხვევა სანაყრეს, მაშინ იგი ყურის საშუალებით შეგვიძლიან ჩამოვკიდოთ იქვე ტოტზე და გამოვშორდეთ. დანარჩენი ფუტკრებიც თავისთავად შეეხვევიან.

თუ ნაყარი ძალიან მაღლა ეხვედა, სანაყრეს გძელს ჯოხზედ წამოვაცვავთ და ისე მივუდგავთ ნაყარს.


მოხდება ხოლმე, რომ ფუტკარი რაღაც უხალისოდ ეხვევა სანაყრეს; ხან შეხვეული ფუტკარი ისევ იშლება სანაყრიდან და იმავე ადგილზედ იწყებს გადასვლას, სადაც პირველად ეხვევოდნენ. ასეთს შემთხვევაში მეორე კაციცაა საჭირო, რომელიც უნდა ავიდეს ხეზე და განუწყვეტლივ ანძრიოს ის ტოტი, რომელზედაც ნაყარი ეხვევა. მეორეს კი შორიანლო უჭირავს ჯოხზედ წამოცმული სანაყრე გაუნძრევლად, ისე კი, რასაკვირელია, რომ ჩამონაბერტყი ფუტკარი თავზედ არ ეყრებოდეს. ამგვარად აშლილი ნაყარი მთლად სანაყრეს შეეხვევა.

სანაყრის მაგივრად შეიძლება ძველი ქუდი (შლიაპა) ვინმაროთ.

ზოგჯერ ნაყარის გამოსვლას გავიგებთ ხოლმე მაშინ, როდესაც იგი უკვე შეხვეული სადმე მთლად დაწყნარებულია. მაშინ საჭიროა ისევ ავშალოთ ნაყარი და შემდეგ მოვიქცეთ ისევე, როგორც ზემოთ ავწერეთ. თუმცა მიწაზედ ბევრი ფუტკარი ჩამოიფანტება, მაგრამ ეს საშიშო არ არის,—ისი-



სანაყრე



ნი ისევე მალე აფრინდებიან და შეუერთდებიან ნაყარს.

ლობეში შეხვეული ნაყარის აკრეფის დროს საჭიროა ბოლის ხმარება: ბოლის საშუალებით ნაყარი უნდა ამოვრეკოთ ღობის ზემოთა ნაწილზე. აქ შუა ნაყარზე დავადებთ ქუდს ან სანაყრეს და დრო-გამოშვებით დაუწყებთ დაბოლებას, რომლის შემდეგ ფუტკარი თანდითანობით გადავა სანაყარზე

ასევე უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ნაყარი **მიწაზე** ეხვევა სკის ახლო. ესეთი საქმე დაემართება ხოლომე მხოლოდ ნამთავრალ ნაყარს, როდესაც მას ნაყოფიერი მეტად დამძიმებული დედა ეყოლება, რომელიც ვერ ახერხებს ფრენას და იქვე სკის ახლო ეცემა მიწაზე. მაშინ ნაყარიც იძულებული ხდება დედისავე ახლო დაბინავდეს.

მიწიდან ნაყარის აკრეფა შეიძლება აგრედვე გაფოთლილი ხის შტოებითაც. შტოები დაეწყობიან ზედ ნაყარზე და ფუტკრები თავად დაიწყებენ იმათზე გადასვლას.

გაფოთლილი ტოტებისავე საშუალებით უნდა აიკრიფოს კედელზე ან ხეზე შეხვეული ნაყარიც.

ნაყრობის დროს საჭიროა ვიქონიოთ აგრედვე **სანაყრე პარკიც**, რომელიც უნდა შეიკეროს თხელი ტილოსაგან და ძირი და თავი მავთულის რკალზე ჰქონდეს რგვლად გადაჭიმული, რომ პარკი მუდამ გაბერილი იდგეს. პარკს ძირზე მიკერებული უნდა ჰქონდეს სახელური ანუ ყური.

როდესაც ხის ტოტი, რომელზედაც ნაყარია შეხვეული, მოსაჭრელად არ გვემეტება, ან კიდევ ძნელია მისი მოჭრა, მაშინ ნაყარს უნდა მიედგას ქვემოდან ეს პარკი და ერთის მუშტის დაკვრით ჩაიბერტყოს შიგ ნაყარი. ამის შემდეგ პარკის სახელურს გადავაბრუნებთ ცალგვერდზედ და პარკი მთლად დაიხურება. მემრე ძირის ყულფში ჩავავლებთ ხელს და წამოვბერტყავთ ნაყარს სკის წინ მიფარებულს ტილოზედ.

პარკის სიმაღლე უნდა იყოს 14 ვერშოკი, ძირი და თავი 8 ვერშოკამდე.


მღვდ. ალ. ჯალიაშვილი.

აბრეშუმის პარკის ახალი მოსავლის მოღობინში

მოახლოვდა პარკის მოსავლის დრო, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. მებაბრეშუმეები და მებარკე-ვაჭრები გაფაციცებით ელიან რამოდენი მოსავალი ან ფასები იქნება წელს პარკისა.

წარსული წლის მებაბრეშუმეობამ ჩვენშიაც და უცხოეთშიაც შედარებით წინა წლებთან რიგიანად ჩაიარა. წელსაც ჯერ-ჯერობით ჩვენ-

შიაც და უცხოეთშიაც პარკის მოსავალს კარგი პირი უჩანს. როგორც იწერებიან საფრანგეთსა და იტალიაში წელს გაცილებით ნაკლები თესლი აუღლიათ ვიდრე შარშან: საფრანგეთში ერთი მეთედით ნაკლები და იტალიაში ერთი მეოთხედით ნაკლები დაახლოებით, ვიდრე 1910 წელს იყო აღებული. უცხოელი მებაბრეშუმე წელს შედარებით მეტს



1990 წლის 12 იანვარი

ფასს მოელის პარკში, ვიდრე შარშან იყო. მაგრამ როგორც უკანასკნელ წლების მაგალითმა გვიჩვენა ევროპის მსოფლიო ბაზარზე პარკის ფასების გამორკვევაში დიდი გავლენა აქვს შორეულ აღმოსავლეთიდან შემოტანულ აბრეშუმის ძაფს ჩინეთსა და იაპონიაში დამზადებულს. წელსაც მაგალითად იაპონიაში იმოდენა მოსავალს მოელიან პარკისას, რომ აქედანვე წინადადებას აძლევენ ევროპის მექარხნებს: შემოდგომაზე ჩაგაბარებთ იაფად აუარებელ აბრეშუმის ძაფსაო და სხვა. ამისდამიუხედავად უცხოეთის მეაბრეშუმეს ჯერ-ჯერობით იმედი არ ეკარგება, ახალპარკში კარგი ფასების აღებისა.

ჩვენებური მეაბრეშუმეებიც რასაკვირველია დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი ფასი აიღონ პარკში. დასავლეთ საქართველოში ამჟამად დიდ მზადებაში არიან, როგორც ადგილობრივი ისე ჩამოსული მეპარკე-ვაჭრები, რომელთა რიცხვი წელს გაცილებით მეტია. ბევრი მეპარკე ჩამო-

ვიდა ნუხა-შუშიდან და დანიქილავა სპარკე ფარდულები. თუმცა დიდი ზამთრის გამო ბევრი ფარდული დაინგრა, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი ახალი ფარდული გაშენდა, რომ აუარებელი პარკი მოთავსდება შიგ. პარკის მოსავალსაც თუ ივნისის ცუდმა ამინდებმა ხელი არ შეუშალა კარგი პირი უჩანს; თესლიც შარშანდელთან შედარებით მეტი აღდეს წელს. სულ ამიერ კავკასიაში 360,000 კოლოფი თესლი დარიგდა; აქედან საქართველოში 140,000 კოლოფამდე. მეთესლეებს დარჩათ წელს გაუყიდავი 50 ათასი კოლოფი თესლი, რომლიდანაც გამოვიდა ჭია და დაინოცა. ამჟამად მსოფლიო ბაზარზე ძველი პარკის ფასი 9 ფრანკი და 15 — 20 სანტიმია კილო, ესე იგი 5 მან. ფუთი. ასე რომ ადგილობრივ უნდა ვიანგარიშოთ 50 მან. ფუთი ხმელი პარკი, ანდა 15 მან. ფუთი ნედლი პარკი.

დრო გამოშვებით ვეცდები მკითხველებს გავაცნო პარკის ფასები მსოფლიო ბაზარზე.

ი. ქუთათელაძე

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ზ ა

მევენახეთა და ქემამუღეთა საყურადღებოდ

ამ ბოლო დროს ბაზარში გაჩნდა გასაყიდად გოგირდი ისეთ ზოლიან „მეშოკებში“ და ისეთი იარლიკით, რომელიც გარეგნობით ძალიან წააგავს ჩვენ-ზოლიან „მეშოკს“ და „იარლიკს“. ამიტომ ვაფრთხილებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს უსათუოდ დააკვირდნენ და წაიკითხონ „მეშოკის“ „იარლიკზედ აღნიშნული ჩვენი გვარი და ფირმა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი გოგირდის ღირს სებაში ვაგებთ პასუხს.

მიწად-მოქმედების სამინისტროს კომისიონერი

0101 ტფილისი. გ. ე. ფრიდონოვი

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე